



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ. ოზურგეთი

N 2  
10/01/2017

2-03-4-201701101410



განკარგულება №2  
10 იანვარი 2017 წელი

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით (ს/კ237113850) სესხის მიღებაზე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე” 2016 წლის 20 დეკემბრის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

*საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და 2-ე ნაწილის, 100-ე მუხლისა და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**მუხლი 1.** შეტანილი იქნეს ცვლილება „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით (ს/კ237113850) სესხის მიღებაზე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე” 2016 წლის 20 დეკემბრის N63 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით.


„მუხლი 1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, ნაგავმზიდი მანქანების და სანაგვე ურნების შესაძენად, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) სახელით აიღოს სესხი 726,447 (შვიდასოცდაექვსიათას ოთხასორმოცდაშვიდი) ლარის

ოდენობით.

**მუხლი 2.** განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა